ორიგინალი

შეთნხმება №1

(2012 წლის 25 დეკემბრის №1101/10/084 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი 27 მარტი 2013 წელი

ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, ქ. თბილისის **მთაწმინდის** რაიონის გამგეობა, რაიონის **გამგებლის – ნიკანორ მელიას** სახით (შემდგომში „შემსყიდველი"); მეორე მხრივ ს.ს. **„სილქნეტი"**, გენერალური დირექტორის მოადგილის კომერციულ დარგში – **ნუგზარ ჩინჩალაძის** სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), მესამე მხრივ **ვაკის** რაიონის გამგეობა, რაიონის **გამგებლის მ/შ – ჰენრი დოლიძის** სახით (შემდგომში – მესამე პირი „შემსყიდველი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 28.01.2013 წლის №1-4 გადაწყვეტილებით და ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 08 თებერვლის №162 განკარგულებით, რომელთა ძალითაც მოხდა ქალაქ თბილისის გამგეობების რეორგანიზაცია და ახალი ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით შეიქმნა შესაბამისი გამგეობები, აგრეთვე 2012 წლის 25 დეკემბრის №1101/10/084 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების მე-15 მუხლით, ვდებთ სამმხრივ შეთანხმებას შემდეგ ცვლილებებზე:

1. 2012 წლის 25 დეკემბრის №1101/10/084 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შემსყიდველ მხარედ, ნაცვლად **დიდგორის** რაიონის გამგეობისა, განისაზღვროს ქ. თბილისის **მთაწმინდის** რაიონის გამგეობა და ქ. თბილისის **ვაკის** რაიონის გამგეობა თითოეული ცალ-ცალკე მხარეებად. თითოეული მხარე გაიზიარებს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილ უფლება-მოვალეობებს წინამდებარე შეთანხმების პირობებით დადგენილი წესითა და მოცულობით.
2. საერთო სახელშეკრულებო ღირებულებასა და მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში 2013 წლის პირველ მარტამდე გაწეული მომსახურების ღირებულებათა შორის სხვაობის გათვალისწინებით, ხელშეკრულების პირობების მე-3 მუხლის 3.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.2. ვალდებულების საერთო ღირებულება შეადგენს – **3284,0** (სამიათასორასოთხმოცდაოთხი) ლარს.
   3.2.1. ვალდებულების საერთო ღირებულებიდან, ქ. თბილისის **მთაწმინდის** რაიონის გამგეობის წილი შეადგენს – **1642,0** ლარს.
   3.2.2. ვალდებულების საერთო ღირებულებიდან, ქ. თბილისის **ვაკის** რაიონის გამგეობის წილი შეადგენს – **1642,0** ლარს."
3. ხელშეკრულების პირობების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3.7. პუნქტი:
   „3.7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:
   3.7.1. ქ. თბილისის **მთაწმინდის** რაიონის გამგეობისათვის – ტელ: **322239490** კოჯორი, ტაბიძის ქ. I ჩიხი, №2; ტელ: **322180795, 322308114** ტაბახმელა, თბილისი-კოჯრის გზატკ. №25;
   3.7.2. ქ. თბილისის **ვაკის** რაიონის გამგეობისათვის – ტელ: **322228135, 322514463** წყნეთი, დ. ამილახვარის ქ. №19; ტელ: **322298646** წყნეთი, საირმის ქ. №2."
4. ხელშეკრულების პირობების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3.8. პუნქტი:
   „3.8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ქ. თბილისის **მთაწმინდის** რაიონის გამგეობის მხრიდან განახორციელებს **მთაწმინდის** რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი – თენგიზ რამიშვილი;
   3.8.2. ქ. თბილისის **ვაკის** რაიონის გამგეობის მხრიდან – **ვაკის** რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი – რამაზ ლომინაძე."
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2012 წლის 25 დეკემბრის №1101/10/084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სათანადო ინფორმაციის წარსადგენად ქ. თბილისის **ვაკის** რაიონის გამგეობა შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობას.
6. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

7. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2013 წლის 1 მარტიდან, წარმოადგენს 2012 წლის 25 დეკემბრის №1101/10/084 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

8. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი":	„მიმწოდებელი":	მესამე პირი - „შემსყიდველი":
ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა, ს/კოდი: 204521954, მისამართი: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48, სს „ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრ. ფილიალი ა/ა № GE95LB0125152101627000 ბანკის კოდი: LBRTGE22	ს.ს. „სილქნეტი", ს/კ 204566978, მდებარე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №95 სს „საქართველოს ბანკი" ა/ა №GE41BG 0000 0008 7841 5000 კოდი BAGAGE22	ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა, ს/კ 204872539, მისამართი: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. №10ა, სს „ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრ. ფილიალი ა/ა № GE95LB0125152101627000 ბანკის კოდი: LBRTGE22
ნიკანორ მელია	ნუგზარ ჩინჩალაძე	შენრი დოლიძე